საქართველოს მთავრობის

დადგენილება №246

2024 წლის 1 აგვისტო

ქ. თბილისი

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021274) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის:

1. „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტის ფარგლებში ამ პროექტის მიზნებისათვის დაქირავებულ შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტოსთან შეთანხმებით ან კვალიფიციურ პირს, რომელიც ამზადებს პროექტთან დაკავშირებით შეფასებას საპროექტო დოკუმენტაციაზე/დოკუმენტაციის ნაწილზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული კვალიფიციური პირის (ექსპერტის) კანდიდატურას ითანხმებს სააგენტო და ამ შემთხვევაში, მითითებული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) ჰქონდეს შესაბამისი სპეციალობის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

გ.ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ:

გ.ბ.ა) 5 წლის სტაჟისა – არქიტექტურული პროექტის საექსპერტო შეფასების შესადგენად;

გ.ბ.ბ) 10 წლის სტაჟისა – საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების შესადგენად;

გ.ბ.გ) 10 წლის სტაჟისა – კონსტრუქციული სქემის/პროექტის საექსპერტო შეფასების შესადგენად;

გ.ბ.დ) 7 წლის სტაჟისა – ტექნოლოგიური ნაწილის (არსებობის შემთხვევაში) ტექნოლოგიური სქემის/პროექტის შეფასების შესადგენად;

გ.ბ.ე) 10 წლის სტაჟისა – მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განსახორციელებლად;“.

2. „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ორგანოს არარსებობის შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტოსთან შეთანხმებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**